პროლეტარეგო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

17 მაისი, ოთხშაბათი, 1989 წ.
№ 93 (10 012) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

საქართველოს სახალხო განათლების სამინისტროს კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება წლევანდელ სახწავლო წელს გამოცდები ჩატარდეს სკოლამდელი დაწესებულებების დამამთავრებელ ჯგუფებში, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისა და სკოლა-ინტერნატების გამოსაშვებ (IX-XI) კლასებში.

ფიზკულტურაში გამოცდები უკვე დაიწყო. ეს ფოტოსურათები გუშინ გადავიღეთ. გამოცდას აბარებენ თბილისის 23-ე და 166-ე სკოლების მოსწავლეები (166-ე სკოლელები გამოცდას პროფკავშირთა მძლეოსნობის სახახლეში აბარებდნენ).

ჯემალ კახრაძის ფოტოები

საკავშირო ახალგაზრდული თამაშები

მეოთხე—გუნდურში, მეოთხე—პირადში

ალუშტა. დამთავრდა ახალგაზრდობის საკავშირო სპორტული თამაშების პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრება ველოსპორტში —იუნიორთა მრავალდღიანი ველორბოლა. ორი კვირის განმავლობაში მოკავშირე რესპუბლიკების, მოსკოვისა და ლენინგრადის სპორტსმენები თავდაუზოგავად იბრძოდნენ საპრიზო ადგილებზე გასასვლელად.

პირად ჩათვლაში თბილისელი ვასილ დავიდენკო თითქმის მთელი რბოლის განმავლობაში ლიდერთა შორის იმყოფებოდა და საბოლოოდ IV ადგილზე გავიდა. მეოთხე გუნდური ადგილი დაიკავა ჩვენი რესპუბლიკის ნაკრებმაც, რაც, ადრინდელ თამაშებთან შედარებით, უდაოდ კარგი შედეგია. დაწვრილებით ამ შეჯიბრების შესახებ მასალას გაზეთის უახლოეს ნომერში შემოგთავაზებთ.

საბჭოთა კავშირის თასის გათამაშება ფრენბურთში

სამივე მეტოქე დაამარცხეს

ბუშინ კილიუსში დამთავრდა ფრენბურთელ ვაჟთა საკავშირო თასის გათამაშების ორწრიანი ზონალური ტურნირი, რომელშიც მასპინძლებთან ერთად იბრძოდნენ ლენინგრადის, ერევნისა და თბილისის გუნდები.

საქართველოს ფრენბურთელებმა სამივე მეტოქე დაამარცხეს, მოაგროვეს 6 ქულა და საკავშირო თასის გათამაშების მომდევნო ეტაპზე გავიდნენ.

ტელეფონით, ჩვენი სპეცკორ.

ᲨᲘᲜ ᲓᲐ ᲨᲔᲮᲚᲝᲕᲗᲨᲘ

თბილისელმა სტაიერმა ოლეგ სტრიჟაკოვმა მეორე ადგილი დაიკავა ლიუბლიანის ᲭᲣᲩᲔᲑᲨᲘ გამართულ გარბენში, რომელიც ტრადიციულად ტარდება იუგოსლავიის ამ ქალაქში.

ოღონდ წლეულს, შეჯიბრებაში ის სიახლე იყო, რომ იგი მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციის (იაააფი) კალენდარში შეიტანეს, რითაც უფრო გაიზარდა გარბენის პრესტიჟი.

ო. სტრიჟაკოვმა 10-კილომეტრიანი წრიული ტრასა 29.25,0 გაირბინა და სულ ორი წამით ჩამორჩა ირლანდიელ სპორტსმენს, რომელიც პირველი მიიჭრა ფინიშთან.

სხვათა შორის, სტრიჟაკოვი თბილისში დაბრუნებისთანავე გამოვიდა ასევე ტრადიციულ კროსში, რომელსაც ლამაზი სახელწოდება „ეროგულების თასი“ ჰქვია და რბენის მოყვარულ ენთუზიასტთა თაოსნობით ეწყობა. იგი მუდამ ხალხმრავლობით, ხალისით გამოირჩევა და ფაქტობრივად რესპუბლიკის საუკეთესო სტაიერებს უყრის თავს. ამასთან ტარდება გარბენები უფროსთა და უმცროსთა შორის ცალ-ცალკე.

უფროსთა შეჯიბრებაში 5 კმ-ზე ცოტა გრძელ დისტანციაზე სტრიჟაკოვმა დამაჯერებლად გაიმარჯვა, მეორე ადგილზე გავიდა შალვა ნადირაძე, მესამეზე — ვალერი გედევანიშვილი.

ᲠᲝᲒᲐ ᲥᲔᲗᲔᲕᲐᲜ ᲙᲐᲮᲘᲐᲜᲘᲡ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲘ ᲬᲧᲓᲔᲑᲝᲓᲐ

როგორც ჰადრაკის გულშემატკივრებმა იციან, 11 მაისს მოსკოვში გაიმართა ჰადრაკის საკავშირო ფედერაციის სხდომა, რომელმაც დადებითად გადაწყვიტა ქართველი გოგონების მსოფლიო პირველობებში დაშვების საკითხი. იმ დროს, როცა მოსკოვში ეს საქმე ირკვეოდა, საერთაშორისო ოსტატი ქეთევან კახიანი რუმინეთის ქალაქ ტუშნადში ქალთა საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობდა. ამ შეჯიბრებაში სულ 14 მოჭადრაკე იბრძოდა, კახიანმა შესანიშნავად ითამაშა და 9 ქულით რუმინელ საერთაშორისო ოსტატ გერტრუდა ბაუმშტარკთან ერთად I-II ადგილები გაიყო. უკეთესი კოეფიციენტის კამო პირველი ადგილი ქართველ მოჭადრაკეს მიეკუთვნა. აღსანიშნავია, რომ კახიანს მხოლოდ ქულა დააკლდა საერთაშორისო დიდოსტატის ბალის შესასრულებლად. 8,5 ქულით III ადგილი წილად ხვდა გაბრიელა სტანჩუს (რუმინეთი).

ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲪᲜᲝᲑᲔᲑᲘ

გუშინ ჰელსინკიდან მოსკოვში ჩამოფრინდნენ საბჭოთა ძიუდოისტები, რომლებიც ბრწყინვალედ გამოვიდნენ ევროპის ჩემპიონატში. ევროპის ოთხგზის ჩემპიონი კობა კურტანიძე გუშინვე იაპონიაში გაფრინდა. ამ ვიზიტის მიზანზე დამატებით გაცნობებთ.

დღეს ინგლისში გაფრინდება სსრკ კავშირის სამბისტთა ნაკრები გუნდი, რომლის შემადგენლობაში ევროპის პირველობაზე იასპარეზებს ქართველი ფალავანი ჯემალ მჭედლიშვილი.

გუშინ თბილისის ფიზკულტურის ტექნიკუმის დირექტორის მოადგილემ ვ. ცუხიშვილმა გვაცნობა თბილისში 9 აპრილს დატრიალებული ტრაგედიის მსხვერპლთა მემორიალისა და მთიანი აჭარის მოსახლეობის სტიქიური უბედურების შედეგად დაზარალებულთა ფონდებში ტექნიკუმის მასწავლებლებმა თითო დღის ხელფასი, ტექნიკუმის მოსწავლეებმა კი სტიპენდიის ნაწილი შეიტანეს.

ᲬᲝᲓᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲭᲔᲑᲐ

როგორც ცნობილია, ოლიმპიურ ჩემპიონს სპორტის დამსახურებული ოსტატის მაღალ წოდებას ავტომატურად ანიჭებენ, მერე კი გამოდის საკავშირო სპორტსახკომის სპეციალური დადგენილება.

ამას წინათ ჩვენი ქვეყნის წამყვან სპორტსმენთა ჯგუფს სსრ კავშირის სახელმწიფო სპორტკომიტეტმა მიანიჭა სპორტის დამსახურებული ოსტატის წოდება. მათ შორისაა სამი ჩვენი თანამემამული — **ნინო ვახტანგის ასული სალუქვაძე** (მსროლელი, თბილისი, საბჭოთა არმია), **ვლადიმერ ომარის ძე გოგოლაძე** (სპორტული ტანვარჯიში, თბილისი, პროფკავშირთა სპორტსაზოგადოება) და **გელა გიორგის ძე კეტაშვილი** (ფენბურთი, თბილისი, „დინამო“).

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲨᲘ

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ ძოიწონა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოს გადაწყვეტილება უნივერსიტეტისათვის ივანე ჯავახიშვილის სახელის მინიჭების შესახებ.

(საქინფორმი).

18 ᲛᲐᲘᲡᲡ...

ᲮᲣᲗᲨᲐᲑᲐᲗᲡ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲑᲐᲕᲨᲕᲗᲐ ᲙᲐᲚᲐᲗᲑᲣᲠᲗᲘᲡ ᲡᲐᲡᲐᲮᲚᲔᲨᲘ (ᲙᲘᲠᲝᲕᲘᲡ ᲞᲐᲠᲙᲘ) ᲩᲐᲢᲐᲠᲓᲔᲑᲐ ᲛᲔᲝᲗᲮᲔᲓᲨᲘᲜᲐᲚᲣᲠᲘ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲔᲑᲘ ᲥᲐᲠᲗᲣᲚ ᲭᲘᲓᲐᲝᲑᲐᲨᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲐᲚᲙᲐ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲞᲠᲘᲖᲘᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲡᲝᲤᲚᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲥᲐᲚᲐᲥᲔᲑᲘᲡ ᲣᲤᲑᲜᲔᲑᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲗ. ᲛᲔᲢᲝᲥᲔ ᲬᲧᲕᲘᲚᲔᲑᲘᲐ: **ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ — ᲑᲝᲠᲘ; ᲕᲐᲣᲐ (ᲮᲐᲨᲣᲠᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘ) — ᲞᲐᲢᲐᲠᲫᲔᲣᲚᲘ (ᲡᲐᲑᲐᲠᲔᲯᲝᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘ).**

ᲓᲐᲡᲐᲬᲧᲘᲡᲘ 17.30 ᲡᲐᲐᲗᲖᲔ.

ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐ

ᲯᲐᲛᲑᲣᲠᲒᲘ. მსოფლიოს პირველობა ჩოგანმა ივან ლენდლმა მოიგო „გრან პრის“ სერიის აქ გამართული მორიგი ტურნირი. ფინალში მან დაამარცხა ავსტრიელი ჰორსტ სკოფი — 6:4, 6:1, 6:3. აღსანიშნავია, რომ სკოფმა ფინალამდე სძლია სახელგანთქმულ ბორის ბეკერს — 7:6, 6:2.

რომი. იტალიის ღია ჩემპიონატის ქალთა ტურნირშიც გამარჯვება არ გასჭირვებია არგენტინელ გაბრიელა საბატინის — მისი ძირითადი მეტოქენი აქ არ გამოსულან. საბატინიმ ფინალში დაამარცხა 17 წლის ესპანელი არანტა სანჩესი — 6:2, 5:7, 6:4.

ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲯᲐ ᲒᲠᲫᲔᲚᲘ ᲔᲢᲐ�პᲘ

COURSE DE LA PAIX 42e — W-B-P 1989

ᲑᲔᲠᲚᲘᲜᲘ. მშვიდობის ველორბოლის ყველაზე გრძელი, მეშვიდე ეტაპი (213 კილომეტრი) ჩალე — ბერლინი გდრ-ის წარმომადგენელმა ოლაფ ლუდვიგმა მოიგო — 4:57.15. გამარჯვებულს თანაგუნდელი უვე რააბი 5 წამით ჩამორჩა, ბულგარელი სტანჩო სტანჩევი კი — 10 წამით.

შვიდი ეტაპის ჯამში პირად ჩათვლაში ლიდერობის პაველ შუმანოვი (ბულგარეთი) ინარჩუნებს — 29:06.05. მას მხოლოდ 3 წამით ჩამორჩება უვე რააბი. საბჭოთა სპორტსმენებს შორის საუკეთესო შედეგი (მეთერთმეტე ადგილი) აქვს სიმფეროპოლელ ვიქტორ კლიმოვს, რომელიც შუმანოვთან 38 წამს აგებს.

გუნდურ ჩათვლაში დაწინაურებულია ბულგარეთის ნაკრები — 87:19.48. მომდევნო ადგილებზე არიან გფრ-ის (ლიდერთან 1 წამს აგებს), ბელგიის (18), გდრ-ისა და სსრ კავშირის (33-33 წამი) ველოსიპედისტები.

მასობრიობა? ოღონდ—ზომიერი

ბოლო ხანს ჩვენს მძლეოსნობაში გარკვეული სტრუქტურული ცვლილებები მოხდა (რომელთა შესახებაც მოგვიანებით გაცნობებთ). თუ რა შედეგი ექნება ამ სიახლეებს, ამას დრო გვიჩვენებს, დღესდღეობით კი კონკრეტულად ლაპარაკი შეგვიძლია მხოლოდ ამჟამინდელ მდგომარეობაზე, ე. ი. იმ ათვლის წერტილზე, საიდანაც უნდა დაიწყოს ახალი მუშაობა. ამისათვის ხელსაყრელი შემთხვევა უნდა ყოფილიყო ჩვენი მძლეოსნების სეზონის პირველი შეჯიბრება ღია სტადიონზე, რომელშიც ერთდროულად სამი ასაკის მძლეოსნები გამოდიოდნენ.

მაგრამ სწორედ ამ გარემოებამ, ე. ი. შეჯიბრების **ზედმეტმა მასობრიობამ გაართულა დასახული მიზანი და ბევრი შეკითხვა სპორტსმენთა ბზადყოფნის შესახებ კვლავ უპასუხოდ დატოვა.** ერთდროულად სამი ასაკის მძლეოსანთა ასპარეზობის მოწყობა საერთოდ მიუღებელი და აქედან გამომდინარე, მეტად ძნელი საქმეა. ტყუილად კი არ აღნიშნა ერთ-ერთმა გამოცდილმა მსაჯმა: ასპარეზობის ჩატარება კი ვითავეთ, ოღონდ თავი ვეღარ გავართვითო.

მსაჯების დადანაშაულება ამ შემთხვევაში არ არის გამართლებული, მათ საკმარისზე მეტი შრომა გასწიეს, ოღონდ როგორც უკვე ვთქვით, შეჯიბრების მძიმე პირობებს ვეღარ გაართვეს თავი. თავდაპირველად განზრახული იყო ჩატარებულიყო მძლეოსნური სპორტსკოლების რესპუბლიკური პირველობა ორ ასაკობრივ ჯგუფში, მაგრამ, ვინაიდან ახალგაზრდული თამაშები კარს მოგვადგა, ამასთან საჭირო იყო საქართველოს ნაკრების კანდიდატთა შერჩევა ტრადიციული მატჩისათვის, რომელიც ამერკაკასიისა და მოლდავეთის რესპუბლიკებს შორის იმართება, შეჯიბრებაში დაუშვეს ყველა ასაკის მძლეოსნები (ასაკში განსხვავებამ 30 წელს მიაღწია!) და პირველობაც ფაქტობრივად უმართავი გახდა.

აქ მთავარი მიზეზი ალბათ რესპუბლიკურ შეჯიბრებათა ღარიბი კალენდარია, თორემ ერთის მაგივრად ორი ასპარეზობა რომ ჩატარებულიყო, არა გვგონია ასეთი ინციდენტები მომხდარიყო.

საქმე იმანაც გაართულა, რომ დაგეგმილი ვადის — სამი დღის ნაცვლად პირველობა ორ დღეში ჩატარდა (7 მაისს თბილისის „დინამოს“ სტადიონზე საფეხბურთო მატჩი იყო დანიშნული).

ამრიგად, გუშმართავი დებულების გამო (მასში ორიოდე დისტანცია საერთოდ გამოტოვებული იყო) სეზონის პირველმა ტურნირმა, რომელზეც გარკვეულ იმედებს ამყარებდნენ, მიზანი ვერ შეასრულა: ზოგიერთ დისციპლინაში შეჯიბრება საათითა და საათ-ნახევრით გვიან დაიწყო და „გაცივებულმა“ სპორტსმენებმა თავიანთი შესაძლებლობები სრულად ვეღარ გამოავლინეს.

ამბროსი მათიაშვილი

მკითხველისათვის იქნებ მოსაწყენი იყოს მიზეზების წვრილ-წვრილად ჩამოთვლა, მაგრამ, ჩვენი აზრით, მაინც საჭიროა აშკარად ითქვას ამის შესახებ.

თუმცა ეს საქმე უკვე გააკეთეს საქართველოს სპორტსახკომის მძლეოსნობის სამმართველოს ხელმძღვანელებმა და რესპუბლიკის მსაჯთა კოლეგიის წევრებმა. გულახდილი ქამათი გაიმართაო, ამბობენ ასეთ შემთხვევაში. ჩვენ არ გვინდა ეს გაცვეთილი ფრაზა ვიხმაროთ, მაგრამ მართლაც ასე კი იყო, ითქვა ყველაფერი, რაც მძლეოსანთა შეჯიბრებების ჩატარებას ხელს უშლის, არც არავინ გაღიზიანებულა სიმართლის გამო, მოკავშირეებად დაშორდნენ ერთმანეთს და სამომავლო გეგმებიც დასახეს. „1978 წლიდან პირველად მოხდა, რომ მსაჯთა კოლეგიასთან შეხვედრა ისურვა რესპუბლიკის მძლეოსნობის ხელმძღვანელობამ. სპორტის ერთი სახეობის სამსახურმა ადამიანები უნდა შეაკავშიროს და არა დააშოროს“, — თქვა ერთ-ერთმა მსაჯმა. იმედია, ეს საჭირო დიალოგი კვლავ გაგრძელდება.

ახლა კი იმის შესახებ, რაც შეხვედრაზე ითქვა: აღინიშნა, რომ მსაჯთა კადრებს სერიოზული განმტკიცება სჭირდება, რომ **ბევრი მსაჯი, დაპირების მიუხედავად, თავს არიდებს ტურნირებს** და მათ მართ სათანადო ღონისძიებები უნდა გატარდეს. საჭიროა მატერიალური და სხვა წახალისებაზე დაყრდნობით ამ სფეროში ახალი კადრების მიზიდვა. საქმეს ვეღარ აუდის რამდენიმე ენთუზიასტი, რომლებიც მრავალი წელია ეწევიან ჭაპანს, ჩვენს მსაჯებს საკმარისი ავტორიტეტი აქვთ (მათ რეგულარულად იწვევენ საკავშირო და საერთაშორისო შეჯიბრებებზე), ოღონდ წესრიგი ჯერ აქ, ჩვენთან უნდა დაამყარონ და მერე მიხეიდონ სხვა ტურნირებს. გადაწყდა ისიც, რომ წლის ბოლოს შეჯამდეს და გამოქვეყნდეს რესპუბლიკის საუკეთესო არბიტრების შემადგენლობა მძლეოსნობაში. აღინიშნა, რომ მსაჯთა მომზადება პროფესიულ ნიადაგზე უნდა ხდებოდეს და იქ შემთხვევითი ხალხი არ უნდა მოხვდეს.

შეკრებილები ყურადღებას განსაკუთრებით ამახვილებდნენ იმ თვითნებობაზე, რომელსაც შეჯიბრებისას იჩენენ გუნდების წარმომადგენლები და მწვრთნელები. მძლეოსნური სკოლების პირველობა მეტად პრინციპულ შეჯიბრებად ითვლება და იქ მსაჯებმა „ნდობის ვოტუმი“ ვერაფრით მოიპოვეს. ბევრი მწვრთნელი თავს ვალდებულად თვლის, ჩაერიოს მსაჯთა საქმეში, წამმზომით ხელში პირდაპირ სარბენ ბილიკზე დაუდგარაჯდეს თავის მოწაფეს, პირადად შეამოწმოს მისი მეტოქეების შედეგები, რომ არაფერი წაუმატონ და ა. შ. ასეთი უნდობლობა უაღრესად ნერვულ ვითარებას ქმნის და ერთიორად აძნელებს მსაჯების მუშაობას.

თბილისის „დინამოს“ სტადიონზე ბევრი რამ გაკეთდა მას შემდეგ, რაც გადაწყდა, რომ საკავშირო შეჯიბრება გაზეთ „პრავდის“ პრიზზე ჩვენთან ჩატარებულიყო. გასაგები მიზეზის გამო ბოლოს ეს ტურნირი სოჭში გადაიტანეს, მაგრამ დაწყებული საქმე შუა გზაში არ უნდა გაჩერდეს, „დინამოს“ რესპუბლიკურ საბჭოს გადაწყვეტილი აქვს საქმე ბოლომდე მიიყვანოს, რადგან საქართველოს მძლეოსნებსაც სჭირდებათ კარგი საასპარეზო პირობები; ზემოხსენებულ შეჯიბრებაზე **ჭოკით მხტომელებმა ასპარეზობა ვერც დაასრულეს — ერთადერთი ჭოკი ჰქონდათ და ისიც გადაუტყდათ.**

ყველა აქ აღნიშნული მიზეზის გამო ძნელია მძლეოსანთა შედეგების გაანალიზება. ცალკეულ მიღწევებზე საუბარი კი უფრო ადვილი საქმეა: თავი განსაკუთრებით მტყორცნელებმა გამოიჩინეს. ალბათ გახსოვთ, რამდენიმე ხნის წინ გამოვაქვეყნეთ ცნობა, რომ ურის მტყორცნელებმა ყაზბეგში მშვენიერი სავარჯიშო ადგილი შეიგულეს, რაც მათ შედეგებსაც დაეტყო. ამ შეჯიბრებაზეც იქიდან დაბრუნებულმა სპორტსმენებმა ორი რესპუბლიკური რეკორდი გააუმჯობესეს ჭაბუკებსა და ახალგაზრდებს შორის.

იოსებ შავერდაშვილმა (ასკ) ახალგაზრდების მიღწევა გააუმჯობესა — 73,72 მ, ლერი ჩიტაიშვილმა — ჭაბუკებისა — 67,82 მ.

როგორც ადრე გაცნობეთ, შუბის ტყორცნაში წარმატებით გამოვიდა 18 წლის ამბროსი მათიაშვილი (მწვრთნელი რეზო კობიაშვილი) — 71,98 მ. დამაჯერებლად მოიგო 110 მეტრზე თარჯრბენა ფელა ვეშაბიძემ (პროფკავშირები) — 13,9 (მეორე ო

ექო

„გაუმარჯოს საქართველოს!“, „გენაცვალე, „დინამო!“

ადამიანებს რომ განსაცდელი აახლოებს და აკავშირებს, ეს ისტორიული გამოცდილებით ჩინებულად იცის სამყაროს ორმა უძველესმა ხალხმა — ქართველებმა და სომხებმა. დღესაც ერთად ვართ, ისევე, როგორც საუკუნეების წინათ, როგორც გუშინ, გუშინწინ ვიყავით. მარადიულმა ძმობა-სიყვარულმა, ერთმანეთის მხარდაჭერამ, თანადგომამ და თანაგრძნობამ ორივე ერი აგვამაღლა, მეტი რწმენა ჩაგვინერგა საკუთარი ძალებისა.

ყველაფერი ეს ერთხელ კიდევ დაადასტურა კვირას ერევანში გამართულმა საფეხბურთო მატჩმა.

ვიცოდით, რომ მართლა გულით განიცდიდით ჩვენს სტკივარს, ჩვენო სომეხო ძმებო, რომ ყოველ წუთს მზად იყავით ჩვენთვის მეგობრობისა და თანადგომის გრძნობის გამოსახატავად, მაგრამ იმას, რაც კვირას მოხდა, ალბათ მაინც ვერ წარმოვიდგენდით. როგორ აღვწეროთ ეს ყველაფერი, როგორ გადავცეთ მკითხველს? როგორ ავუხსნათ, რა გრძნობა გიტრიალებდათ გულში, როცა თქვენს დედაქალაქში, სადაც ჯერ კიდევ კომენდანტის საათია, საფეხბურთო მატჩის ჩატარება შეუძლებლად მიიჩნიეს, ან რას განიცდიდით, როცა მატჩის „დაბრუნების“ შესახებ მოთხოვნა წამოაყენეთ? მთელი სომეხი ხალხი ალბათ მხოლოდ იმას ფიქრობდა, რომ ერევანში ყველა სანახაობის დათმობა შეიძლებოდა, გარდა ამ მატჩისა. არა, მხოლოდ ფეხბურთი და სანახაობა ამ შემთხვევაში არაფერ შუაშია. ფეხბურთმა, როგორც სომხეთის პრესა წერდა, „უკანა პლანზე გადაიწია“. ამ შეხვედრით სომეხ ერს სურდა გამოეხატა თავისი სითბო და სიყვარული ქართველებისადმი. რისთვის? ჩვენი ძმობისა და მეგობრობისთვის, სომხეთში მიწისძვრის დროს ქართველთა გულწრფელი ჭირისუფლობისა და თანადგომისათვის, 9 აპრილს თბილისში და შემდეგ მთიან აჭარაში დატრიალებული ტრაგედიის დროს ქართველი ერის სულის სიმტკიცისა და გაუტეხლობისთვის. აი, რა არის ჭეშმარიტი ძმობა და მეგობრობა, რომელსაც ვერავითარი ტრიბუნა და ვერავითარი ლოზუნგი ვერ გაუწევს მეტოქეობას. დიახ, ამისთვის არ შეიძლებოდა ანგარიში არ გაეწია ყველას, ვისაც სოჭიდან ესევ ერევანში მატჩის გადატანის საკითხის გადაწყვეტა ევალებოდა.

ჩვენი ფეხბურთელები და გულშემატკივრები ერევანში სხვა დროსაც საკადრისად მიგიღიათ, მაგრამ ეს სულ სხვა იყო. დღევანდელმა ვითარებამ და სულის ძახილმა ამ შეხვედრას სულ სხვა ფონი შეუქმნა და სხვა აზრით დატვირთა. მაინც ასე სწრაფად როგორ მოახერხეთ სტუმრების მართლაც ღირსეულად მიღების ორგანიზება. ჩვენ იმ კვირა დილას ჯერ კიდევ თითქმის არაფერი ვიცოდით, მთელი ერევანი კი თურმე ფეხზე იდგა — აეროპორტისკენ დაიძრა მასპინძელთა საფეხბურთო კლუბის წარმომადგენლების, გულშემატკივრების ნაკადები. თბილისელები თაიგულების ზღვაში აღმოჩნდნენ. ითქვა ძმობის, სიყვარულის, თანადგომის სიტყვები, იყო უსიტყვო ამბორიც, ცრემლიანი ჩახუტებაც, უსიტყვო, სევდიანი მზერაც...

სტადიონზე მაინც უამრავი ხალხი მოვიდა. მოვიდა, თავს უფლებას მივცემთ ვთქვათ, არა ფეხბურთისა და წაგება-მოგების სანახავად, არამედ... ჯანსუღ ჩარკვიანის სიტყვებს მოვიშველიებთ: „გმადლობთ, უფალო, დაღვრილ სისხლზე აღმოცენებული დღესასწაულისათვის!“

აბა სად, რომელ ქვეყანაში ყოფილა, რომ ასე გაერთსულოვნებულიყოს ორი ერი, თანაც... ფეხბურთის მატჩზე; სად, რომელ ქვეყანაში, რომელ ხალხს, რომელ გულშემატკივარს დაუჭერია ასე მხარი მეტოქე გუნდისთვის. აქ... ერთთავად გაისმოდა: „არარატ-დინამო!“, „გენაცვალე, დინამო!“, „გაუმარჯოს საქართველოს!“. „ჰაიასტან, საქართველო“... ამ დღის დავიწყება არ შეიძლება. ჩვენმა სომეხმა ძმებმა ისეთი სიყვარული, ისეთი სითბო გვიჩვენეს, როგორიც არსად, არასოდეს, მსოფლიოს არც ერთ ხალხს არ გამოუჩენია მეორე ხალხის მიმართ.

გმადლობთ, უფალო! გმადლობთ, ჰაიასტან!

თენგიზ თომაშვილი.

იმ დღის ქრონიკა

14 მაისი. თბილისის „დინამოს“ გუნდის უფროსი ვლადიმერ გუცაევი: „ყველანი მზად ვიყავით სოჭში გასამგზავრებლად. მოვიდა ცნობა ერევნიდან, სადაც გვთხოვდნენ ანგარიში გაგვიწია სომხეთის მრავალრიცხოვანი ფეხბურთის გულშემატკივრებისთვის და ჩავფრენილიყავით ერევანში. ჩვენ, ცხადია, დავთანხმდით, მაგრამ შეიქმნა საჰაერო რეისის შეცვლის პრობლემა. ამ საკითხის მოგვარებაში დიდი დახმარება გაგვიწია ჩვენი რესპუბლიკის ხელმძღვანელობამ და საქართველოს სამოქალაქო ავიაციის მუშაკებმა, რისთვისაც მათ დიდ მადლობას ვუძღვნით“.

11 საათი. თვითმფრინავი სპეციალური რეისით თბილისის აეროპორტიდან ერევანში გაფრინდა.

3. გუცაევი: „აეროპორტში ათასობით გულშემატკივარი შეგვეგება. თვით აეროპორტის მუშაკები და მილიციის თანამშრომლებიც კი თაიგულებით შეგვხვდნენ. დავბინავდით სასტუმრო „დვინში“, იქაც უამრავი ხალხი დაგვხვდა“.

14 საათი. გუნდმა ისადილა და თამაშისთვის მოემზადა.

3. გუცაევი: „სტადიონზე თამაშამდე ერთი საათით ადრე მივედით. ყოველ ფეხის ნაბიჯზე ვგრძნობდით სითბოს და ყურადღებას. გულშემატკივრებმა საოცრად თბილად მიგვიღეს. ამის შესახებ თქვენ უკვე იცით. მატჩის შემდეგ უამრავი მანქანა გვაცილებდა აეროპორტამდე. მინდა ვისარგებლო შემთხვევით და ბოდიში მოვუხადო ჩვენს გულშემატკივრებს, რომლებმაც ჩვენგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, იმ დღეს სოჭს მიაშურეს. ასე რომ არ ყოფილიყო, „რაზდანის“ სტადიონზე, ცხადია, ორივე გუნდის მეტი მაყურებელი იქნებოდა“.

ესაუბრა **ზაზა კახაძე.**

ლიგა

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაიმართა I ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების მორიგი, IX ტურის შეხვედრები.

„ბურია“ (ლანჩხუთი) — ცსკა 2:1 (2:1).

ლანჩხუთი. „ბურიის“ სტადიონი. 15 მაისი.

„ბურია“: აბუსერიძე, მ. თევზაძე, ოლიფერენკო, დანელია, ვ. კუზნეცოვი, ცომაია, ჟორდანია (კაციტაძე), კაბისაშვილი, კორლალიძე (დოზმოროვი), ფრიდონაშვილი, გურული (უგრელიძე).

ცსკა: შიშკინი, დ. კუზნეცოვი, კოლოტოვსკი (გალიამინი), ბისტროვი, ფოკინი, კალესნიკოვი (მალიუკოვი), კორნეევი (კრუტოვი), ბროშინი, დმიტრიევი, ტატარჩუკი, მასალიტინი.

მსაჯი ა. პოპოვი (კიევი).

გაიფრთხილეს ბროშინი, გურული.

მოსკოვის არმიელთა წარმატებები საყოველთაოდ ცნობილია და ლიგის საკავშირო გათამაშების ერთპიროვნული ლიდერის შეხვედრა ლანჩხუთელ ფეხბურთელებთან მუდამ დიდ ინტერესს იწვევს. ამიტომაც იყო, რომ „ბურიის“ და ცსკა-ს ამ მატჩზე სტადიონის ტრიბუნებზე თავისუფალი ადგილი არ იყო, თამაშის შედეგს დიდი ინტერესით ელოდა ჩვენი საფეხბურთო საზოგადოებრიობაც.

თამაში თავიდანვე სწრაფი, ორმხრივი იერიშებით დაიწყო, ჯერ ჟორდანია გავიდა მეკარე შიშკინთან პირისპირ და ამ უკანასკნელმა მხოლოდ ბოლო წამს მიუსწრო ბურთს, შემდეგ კი მასპინძელთა კარში სახიფათოდ დაარტყეს მასალიტინმა, დმიტრიევმა.

მე-16 წუთზე კორელიძემ კარგად მოაწოდა კუთხური, გურულმა თავით გაგზავნა ბურთი კარისკენ, ხახის გადაკვეთამდე მას დაეუფლა ჟორდანია და არმიელთა კარში პირველი გოლი გავიდა.

ბრძოლა კიდევ უფრო დაიძაბა. არმიელებმა 31-ე წუთზე სწრაფი იერიში განახორციელეს, დმიტრიევმა ბურთი მასალიტინს გადააწოდა და მან ახლო მანძილიდან გაათანაბრა ანგარიში — 1:1.

მიმდინარეობდა 33-ე წუთი, როცა არმიელთა საჯარიმო მოედანზე უხეშად ითამაშა ფოკინმა და აკრძალული ხერხით წაქცია ფრიდონაშვილი. 11-მეტრიანი ზუსტად დაარტყა ჟორდანიამ — 2:1.

ლანჩხუთელებს ტაიმის დამთავრებამდე კიდევ ჰქონდათ ბურთის გატანის კარგი შესაძლებლობა, გურულმა, მაგალითად, ღია პოზიციაში გაიყვანა ჟორდანია, მაგრამ მეკარე შიშკინმა გაბედული ნახტომით იხსნა კარი.

სტუმრები შესვენების შემდეგ დიდი მონდომებით, აქტიურად, მაგრამ ამავე დროს ძალზე უხეშადაც თამაშობდნენ, ბრძოლა მინდორზე ზოგჯერ დაუფარავ მუშტი-კრივში გადადიოდა, აქ განსაკუთრებით გამოირჩეოდა ფოკინი, რომლის უდისციპლინობა საყოველთაო აღშფოთებას იწვევდა.

საბოლოოდ ლანჩხუთელმა ფეხბურთელებმა შეძლეს მეტად საჭირო გამარჯვების მოპოვება თავიანთ ძლიერ, ტრადიციულ მეტოქესთან.

ავთანდილ ოქრომჭალიძე.
(„ლელოს“ საკ. კორ.).

15 მაისს გაიმართა ტურის სხვა შეხვედრებიც: „სპარტაკი“ (ორჯონიკიძე) — „მეტალურგი“ (ზაპოროჟიე) 3:1, „ნეფთჩი“ (ბაქო) — ასკ (დონის როსტოვი) 1:1, „ყუბანი“ (კრასნოდარი) — „კოტაიკი“ (აბოვიანი) 1:3, ფაზთაქორი“ (ტაშკენტი) — „ნისტრუ“ (კიშინიოვი) 2:0, „კაირატი“ (ალმა-ათა) — „ტავრია“ (სიმფეროპოლი) 4:1, „გეოლოგი“ (ტიუმენი) — „დაუგავა“ (რიგა) 1:0, „შინიკი“ (იაროსლავლი) — ასკ „კარპატი“ (ლვოვი) 2:2, „დინამო“ (სტავროპოლი) — „კუზბასი“ (კემეროვო) 1:1, „როსტსელმაში“ (დონის როსტოვი) — „ფაკელი“ (ვორონეჟი) 1:0.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 17 მაისისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
ცსკა	9	7	0	2	27-4	14
„კაირატი“	9	5	3	1	18-7	13
„ნეფთჩი“	9	4	4	1	10-7	12
„ნისტრუ“	9	5	1	3	8-8	11
„ფაკელი“	9	3	5	1	5-2	11
„კოტაიკი“	8	4	2	2	12-3	10
„დინამო“ სტ.	8	2	6	0	5-3	10
„მეტალ.“	8	4	1	3	8-8	9
„ტავრია“	8	3	3	2	13-12	9
„სპარტაკი“	9	3	3	3	8-9	9
„ყუბანი“	9	3	2	4	8-16	8
„როსტსელმ.“	8	2	4	2	8-9	8
ასკ რ.	8	3	1	4	11-10	7
„გეოლოგი“	7	3	1	3	5-6	7
„გურია“	7	2	3	2	9-7	7
„დინ.“ ბ.	8	2	3	3	5-11	7
„ტორპედო“	7	2	1	4	8-13	5
„შინიკი“	8	1	3	4	6-16	5
ასკ „კარპ.“	9	0	4	5	7-14	4
„კუზბასი“	9	0	4	5	2-10	4
„დაუგავა“	9	0	3	6	4-19	3

სსრ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში

ფეხბურთის მოყვარულთა საყურადღებოდ!

თბილისი „დინამოსა“ და მოსკოვის „სპარტაკის“ ფეხბურთელთა საკავშირო თასის მეოთხედფინალური მატჩი თბილისის „დინამოს“ სტადიონზე დღეს დაიწყება 18 საათსა და 30 წუთზე.

გათამაშების ცხრილი -

ლიგა

მდგომარეობა 16 მაისისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დნეპრი	10	8	1	1	17-8	17
„ტორპედო“	11	6	3	2	14-9	15
„სპარტ“	10	6	2	2	22-7	14
„დინამო“ კ.	10	5	3	2	13-6	13
„ლოკომ.“	10	5	2	3	15-10	12
„დინ.“ მ.	10	5	1	4	16-15	11
„დინ.“ მნ.	10	4	3	3	19-14	11
„არარატი“	9	4	3	2	7-12	11
„ქალგ.“	10	4	2	4	16-11	10
„მეტალ.“	10	4	1	5	15-15	9
„დინ.“ თბ.	9	3	2	4	13-13	8
„შახტ.“	10	3	2	5	6-13	8
„ზენიტი“	8	3	0	5	16-13	6
„როტორი“	9	1	3	5	3-12	5
„ჩერნომ.“	10	1	2	7	13-26	4
„პამირი“	10	0	2	8	5-25	2

„სიჭაბუკის თასზე“

დამთავრდა „სიჭაბუკის თასის“ რესპუბლიკური გათამაშება, რომელშიც მონაწილეობდნენ 1974-75 წლებში დაბადებული ნორჩი ფეხბურთელები. კვირას თბილისში გაიმართა დასკვნითი მატჩები პირველი ოთხი ადგილის გამოსარკვევად.

ჯერ III ადგილისთვის ერთმანეთს შეხვდნენ ჩხოროწყუს „სამეგრელო“ და თბილისს „ავაზა“. თამაშის ძირითადი დრო დამთავრდა ფრედ — 1:1, დამატებითი 11-მეტრიანებით წარმატებას მიაღწიეს ჩხოროწყუელმა ფეხბურთელებმა 5:4 (გუნდის მწვრთნელები ვ. სიჭინავა და რ. ყალიჩავა), რომლებიც საპრიზო ადგილზე გავიდნენ.

მთავარი ფინალური მატჩი შედგა თბილისის 35-ე საფეხბურთო სკოლის პირველ და მეორე გუნდებს შორის. ბრძოლის ძირითადი დრო აქაც ფრედ დასრულდა — 1:1, დამატებითი 11-მეტრიანებით გაიმარჯვა სკოლის პირველმა კოლექტივმა — 3:2, რომლის მწვრთნელები არიან ხ. ლიქავა და ა. ილიადი (მეორე გუნდ[illegible] [illegible]ჯიშვილებენ თ. ლორთქიფანიძე [illegible] თ. მირიანაშვილი).



გამარჯვებული გუნდები დააჯილდოვეს შესაბამისი პრიზებით და დიპლომებით, დაჯილდოვეს, აგრეთვე, ცალკეული საუკეთესო ფეხბურთელები.

• • •

სურათებზე: თბილისის 35-ე სკოლის გუნდების ფინალური მატჩის მომენტი; „სიჭაბუკის თასის“ მფლობელი თბილისის 35-ე სკოლის I გუნდი.

გია ახალაძის ფოტოები.

მკითხველთა წერილებიდან

მიაქციეთ ყურადღება

მე მძღოლად ვმუშაობ ბორჯომში და ექსკურსიაზე მყავდა დამსვენებლები მცხეთაში. 22 აპრილს იქვე დავესწარით მცხეთის „არმაზის“ და ცხინვალის „სპარტაკის“ თამაშს. ძალიან მომეწონა ცხინვალელთა ნახევარმცველი გუნდის კაპიტანი ვ. მარგიევი. რატომ უცდით სეზონის დამთავრებას და მერე ნაკრებების შედგენას? ჩემი აზრით, ახლავე შეიძლება „დინამოს“ დუბლებში მარგიევის გამოცდა. ფიზიკურად ძლიერი, ტექნიკური, საზრიანი გრძელი გადაცემები — ერთი სიტყვით, ამ ფეხბურთელს ბევრი რამ აჭვს, რაც ყურადღებას იქცევს.

ბივი ჩადუნელი.

ბორჯომი.

პორტუგალიელთა გამარჯვება

დანიაში დამთავრდა 16 წლამდე ფეხბურთელთა ევროპის ჩემპიონატი, რომლის ფინალური მატჩი შედგა ქალაქ ვეილეში. ერთმანეთს შეხვდნენ პორტუგალიისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის გუნდები. ანგარიშით 4:1 (1:0) გამარჯვება მოიპოვეს პორტუგალიელმა ჭაბუკებმა.

ჩემპიონატების ეჭო

მხოლოდ ტექნიკური შედეგები

ჩვენმა მკითხველებმა უკვე იციან, რომ 11-14 მაისს ჰელსინკში ჩატარდა ევროპის 38-ე პირველობა ძიუდოში. საბჭოთა კავშირის ნაკრებმა ,ბრწყინვალედ ჩაატარა ტურნირი და ყველა წონაში საპრიზო ადგილი დაიკავა.

ჩემპიონატის საბოლოო შედეგები პირად ჩათვლაში ასე გამოიყურება:

60 კგ. 1. ა. ტოტიკაშვილი (სსრ კავშირი), 2. პ. სედივაკი (ჩეხოსლოვაკია), 3. პ. პრანდოროლი (საფრანგეთი) და კ. სატილო (ესპანეთი).

65 კგ. 1. ბ. კარაბეტა (საფრანგეთი), 2. ს. კოსმინინი (სსრ კავშირი), 3. ი. კსაკი (უნგრეთი) და ვ. პეტრიკოვი (ჩეხოსლოვაკია).

71 კგ. 1. ი. კორხონენი (ფინეთი), 2. ბ. ჰაიტოში (უნგრეთი), 3. გ. თენაძე (სსრ კავშირი) და მ. ალექსანდერი (საფრანგეთი).

78 კგ. 1. ბ. ვარაევი (სსრ კავშირი), 2. ფ. ვინიკე (გფრ), 3. ა. ვუხი (ჰოლანდია) და ⚡. ეოლდაკი (უნგრეთი).

86 კგ. 1. ფ. კანიუ (საფრანგეთი), 2. ვ. ბუდიუკინი (სსრ კავშირი), 3. ა. ლობენშტაინი (გდრ) და გ. ვისმარა (იტალია).

95 კგ. 1. კ. კურტანიძე (სსრ კავშირი), 2. ი. სოსნა (ჩეხოსლოვაკია), 3. მ. მაილინგი (გფრ) და ტ. მაიერი (ჰოლანდია).

+95 კგ. 1. რ. კუბაცკი (პოლონეთი), 2. ტ. მიულერი, 3. ჰ. ბიუტინგი (ორივე — ჰოლანდია) და გ. ვერიჩევი (სსრ კავშირი).

აბსოლუტური. 1. ი. სალონენი (ფინეთი), 2. ფ. მიულერი (გდრ), 3. ს. კოსოროროვი (სსრ კავშირი) და ვან ბარნეველდი (ბელგია).

როგორც ხედავთ, საბჭოთა ძიუდოისტებმა 3 ოქროს, 2 ვერცხლისა და 3 ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს, რამაც, რა თქმა უნდა, განაპირობა ჩვენი ნაკრების გუნდური გამარჯვება.

გთავაზობთ იმ ქვეყნების სიას, როლებმაც ევროპის ჩემპიონატის მედლები გაინაწილეს:

სსრ კავშირი	3	2	3
საფრანგეთი	2	—	2
ფინეთი	2	—	—
პოლონეთი	1	—	—
ჩეხოსლოვაკია	—	2	1
ჰოლანდია	—	1	3
უნგრეთი	—	1	2
გფრ	—	1	1
გდრ	—	1	1
ესპანეთი	—	—	1
ბელგია	—	—	1
იტალია	—	—	1

ჩემპიონატის გაკვეთილები

ოულუ (ფინეთი). კლასიკური სტილით მოჭიდავეთა ევროპის ჩემპიონატზე საპატიო სტუმრებს შორის იყვნენ სპეციალისტები აშშ-დან, იაპონიიდან, სამხრეთ კორეიდან. კონტინენტის უძლიერეს ათლეტთა გამოსვლებისადმი გაძლიერებული ინტერესი გამოწვეული იყო იმით, რომ შეჯიბრება ახალი ფორმულით ტარდებოდა. ხუთწუთიანმა ბრძოლამ შეუსვენებლად, რა თქმა უნდა, ჭიდაობა უფრო საინახაობრივი გახადა. მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ ბრძოლამ უჩოქბჯენოთ ერთგვარად გააღარიბა მოჭიდავეთა ტექნიკური ილეთების არსენალი. ახლა გამარჯვების მისაღწევად სხვა გზების და საშუალებების ძებნაა საჭირო და სპორტსმენთა უმრავლესობამ ეს ამოცანა მეტ-ნაკლებად გადაწყვიტა. ყოველ შემთხვევაში ბევრი ორთაბრძოლა, განსაკუთრებით ფინალური, საინტერესო იყო და შინაარსობრივადაც უფრო მდიდარი.

კონტინენტის ჩემპიონის ოქროს მედლებისთვის 24 ქვეყნის 115 ათლეტი იბრძოდა, რაც ერთხელ კიდევ ხაზს უსვამს სპორტის ამ სახეობის მზარდ პოპულარობას ევროპის ქვეყნებში, წლევანდელ ტურნირს თამამად შეიძლება ვუწოდოთ დებიუტანტთა ჩემპიონატი, მათგან ბევრმა თავი გამოიჩინა, ზოგი კი მედლებსაც დაეპატრონა. ექვსი დებიუტანტით იყო საბჭოთა გუნდიც. ალბათ ეს იყო იმის მიზეზი, რომ წლევანდელ პირველობაზე ჩვენმა მოჭიდავეებმა უფრო ცოტა ჯილდო მიიღეს ვიდრე შარშან.

მაგრამ გუნდური გამარჯვება მაინც საბჭოთა ათლეტებს დარჩათ, პირველ ხუთეულშიც ადგილები ზუსტად იმ ქვეყნების წარმომადგენლებმა გაინაწილეს, რომელთაგან წარმატებას ველოდით. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ საბჭოთა კლასიკოსებს შარშანდელ ევროპის ჩემპიონატში 6 ოქროს მედალი, ერთი ვერცხლისა და ორი ბრინჯაოს ჯილდო ჰქონდათ. წლეულს კი, მათ მხოლოდ სამი ოქროს მედალი დაიმსახურეს (ერთი ვერცხლისა და ოთხი ბრინჯაოსი).

ცხრილში, რომელსაც ქვემოთ ვბეჭდავთ, ნაჩვენებია, თუ რომელმა ქვეყანამ რამდენი მედალი მიიღო ამ ჩემპიონატში.

სსრ კავშირი	3	1	4
პოლონეთი	2	2	—
ბულგარეთი	1	2	1
ფინეთი	1	1	—
უნგრეთი	1	1	—
გფრ	1	—	1
იუგოსლავია	1	—	—
შვეცია	—	1	1
გდრ	—	1	1
რუმინეთი	—	1	—
ჩეხოსლოვაკია	—	—	1

გთავაზობთ კონტინენტის ჩემპიონატის პრიზიორებს:

48 კგ. 1. მ. შორერ (გფრ), 2. ფ. იანკოვი (ბულგარეთი), 3. ო. ⚡ ჩერენკო (სსრ კავშირი).

52 კგ. 1. ს. რობანეტერი (ბელგოსლავია), 2. ⚡. კანეკაკი (ფინეთი), 3. ვ. კრუმოვი (ბულგარეთი);

57 კგ. 1. კ. პეხკონენი (ფინეთი), 2. ე. ივანოვი (ბულგარეთი), 3. ს. ბულანოვი (სსრ კავშირი);

62 კგ. 1. რ. ვოლნუ (პოლონეთი), 2. ი. შურომი (უნგრეთი), 3. გ. ატმაკინი (სსრ კავშირი).

68 კგ. 1. ა. რეპაა (უნგრეთი), 2. მ. ისკანდარიანი (სსრ კავშირი), 3. მედალი არ გათამაშდა.

74 კგ. 1. პ. ტენევი (ბულგარეთი), 2. ტ. კორნბაკი (შვეცია), 3. ი. ზემანნი (ჩეხოსლოვაკია).

82 კგ. 1. მ. მამიაშვილი (სსრ კავშირი) 2. პ. სტემპენი (პოლონეთი), 3. ო. კოშინცტკე (გდრ);

90 კგ. 1. ვ. პოპოვი (სსრ კავშირი), 2. ბულმანი (გდრ), 3. ა. შტაინბახი (გფრ).

100 კგ. 1. ა. ვრონსკი (პოლონეთი), 2. ი. ირმციუ (რუმინეთი), 3. ვ. კლიმენკო (სსრ კავშირი).

130 კგ. 1. ა. კარელინი (სსრ კავშირი), 2. ს. ზრობეკი (პოლონეთი), 3. ტ. იუჰანსონი (შვეცია).

გუნდური ადგილები: 1. სსრ კავშირი; 2. პოლონეთი, 3. ფინეთი; 4. ბულგარეთი, 5. უნგრეთი, 6. გფრ.

შენიშვნა: 68 კგ წონით კატეგორიაში ბრინჯაოს მედალი არ გათამაშდა, ვინაიდან მსაჯთა კოლეგიამ გადამწყვეტი შეხვედრის ორთავე მონაწილეს დამარცხება მიუსაჯა.



კვლავ „მაკლარენი“

7 მაისს მონაკოს დედაქალაქის მონტე კარლოს ქუჩებში გაიმართა „ფორმულა 1“ კლასის ავტომრბოლთა მსოფლიოს მე-40 ჩემპიონატის მესამე ეტაპი. გათამაშდა მონტე კარლოს „გრან პრი“. სანამ ამ ასპარეზობის მსვლელობაზე მოგახსენებდეთ, შემოგთავაზებთ განვლილი სამი ეტაპის სრულ შედეგს:

I ეტაპი, 26 მარტი, ბრაზილია: 1. ნაიჯელ მენსელი (ინგლისი, „ფერარი“) — 9; 2. ალენ პროსტი (საფრანგეთი, „მაკლარენ-ჰონდა“) — 6; 3. მაურიშიო გუგელმინი (ბრაზილია, „მარჩ-ჯადი“) — 4; 4. ჯონი ჰერბერტი (ინგლისი, „ბენეტონ ფორდი“) — 3; 5. დერეკ უორვიკი (ინგლისი, „ეროუზ-ფორდი“) — 2; 6. ალესანდრო ნანინი (იტალია, „ბენეტონ-ფორდი“) —1 ქულა.

II ეტაპი, 23 აპრილი, სან მარინო: 1. აირტონ სენა (ბრაზილია) — 9; 2. ალენ პროსტი (საფრანგეთი) — 6; (ორივე „მაკლარენ-ჰონდა“) 3. ალესანდრო ნანინი — 4; 4. დერეკ უორვიკი — 3; 5. ჯონათან პალმერი (ინგლისი, „ტაირელ-ფორდი“) — 2; 6. გაბრიელე ტარკვინი (იტალია, „ა-ქე-ეს-ფორდი“) — 1 ქულა.

III ეტაპი. 7 მაისი, მონაკო: 1. აირტონ სენა — 9; 2. ალენ პროსტი — 6; 3. სტეფანო მოდენა (იტალია, „ბრებემ-ჯადი“) — 4; 4. ალექს კაფი (იტალია, „დალარა-ფორდი“) — 3; 5. მიქელე ალბორეტო (იტალია, „ტაირელ-ფორდი“) — 2; 6. მარტინ ბრანდლი (ინგლისი, „ბრებემ-ჯადი“) — 1 ქულა.

ახლა კი ყველაფერზე თანმიმდევრობით.

ბრაზილიის ეტაპამდე 10 დღით ადრე, „ნელსონ პიკეს“ სახელობის ტრასაზე, კატასტროფაში ძლიერ დაშავდა „ა-ქე-ეს-ფორდის“ ფრანგი პილოტი ფილიპ სტრაიფი. იქვე კლინიკაში გაწეული პირველი დახმარების შემდეგ მთლიანად პარალიზებული სპორტსმენი გადაიყვანეს ქალაქ გრენობლის საავადმყოფოში. ახლახანს ცნობილი გახდა, რომ სტრაიფის მდგომარეობა გაუმჯობესდა, თუმცა მისი დაბრუნება აქტიურ სპორტში ჯერ კიდევ კითხვის ნიშნის ქვეშაა.

ბრაზილიაში საკვალიფიკაციო რბოლა მოიგო აირტონ სენამ. ერთი წრე გაიარა 1 წუთსა და 25,302 წამში.

შეჯიბრების დღეს საგრძნობლად ცხელოდა. ავტომობილებმა სტარტი აიღეს თუ არა, გერჰარდ ბერგერმა სცადა სენას „მაკლარენსა“ და პატრეზეს „უილიამსს“ შორის გავლა, მაგრამ პირველივე მოსახვევთან მათ ერთმანეთს შეუშალეს ხელი. პატრეზემ თავისუფლად განაგრძო გზა, სენას ავტომობილი დაუზიანდა და იგი ბოქსისკენ გაემართა, ხოლო ბერგერის „ფერარი“ საერთოდ მწყობრიდან გამოვიდა და ავსტრიელმა სპორტსმენმა ვეღარ შეძლო რბოლის გაგრძელება. ამასობაში დაწინაურდა პატრეზე, რომელსაც კვალში ედგა თანაგუნდელი ტიერი ბუტსანი, შემდეგ ნაჯელ მენსელი და ალენ პროსტი. ტრასის ნახევრის გავლის შემდეგ ასპარეზობას გამოეთიშა ბუტსანი, ლიდერობა ხელთ იგდო მენსელმა, მას მიჰყვა პროსტი. ინგლისელმა პილოტმა პირველმა გადაკვეთა ფინიშის ხაზი, პროსტი მეორე იყო. ბრაზილიელი გულშემატკივრები ტაშით შეხვდნენ თავიანთი თანამემამულის, მაურიშიო გუგელმინის წარმატებას. ტრასის რეკორდი დაამყარა რიკარდო პატრეზემ (იტალია, „უილიამს-რენო“). მან წრის გავლას 1 წუთი და 32,507 წამი მოანდომა და გააუმჯობესა გერჰარდ ბერგერის შარშანდელი შედეგი.

ნაიჯელ მენსელმა მე-14 „გრან პრი“ მოიპოვა. ეს „ფერარის“ ავტომობილით მოგებული 95-ე ეტაპია. სენსაციური იყო დებიუტანტის, ახალგაზრდა ჯონი ჰერბერტის მეოთხე ადგილი.

სან მარინოში „დინო და ენცო ფერარის“ სახელობის ტრასაზე საკვალიფიკაციო რბოლა მოიგო გერჰარდ ბერგერმა. ერთი წრე გაიარა 1 წუთსა და 42,781 წამში (საშუალო სიჩქარე — 176,351 კმ სთ), ნაიჯელ მენსელმა კი 22-ე შედეგი აჩვენა.

სტარტზე ბერგერი შეყოვნდა და წინ აირტონ სენა გავიდა. მას კვალში ედგა ალენ პროსტი. მესამე პოზიცია ეკავა გერჰარდ ბერგერს. მეოთხე წრეზე, როცა ყველა პილოტს ერთ-ერთი ურთულესი მოსაწვევი „ტამბურელო“ უნდა გაევლო, ბერგერის ავტომობილი მოულოდნელად ტრასის მიღმა აღმოჩნდა და საათში დაახლოებით 270 კმ სიჩქარით ბარიერს შეეჯახა. „ფერარის“ ცეცხლი მოედო, მაგრამ უკვე 15 წამში შემთხვევის ადგილზე მოსული სახანძრო ბრიგადა და სასწრაფო დახმარების პერსონალი თავის საქმეს შეუდგა. ხანძარი 25 წამში ჩაქრეს, ტრავმირებული სპორტსმენი კი იქვე, ქალაქ ბოლონიის კლინიკაში მოათავსეს. ტრავმის გამო ბერგერმა გამოტოვა მონაკოს ეტაპი და ასპარეზობაში ჩაებმება მექსიკადან. გარდა ამისა, აღსანიშნავია ისიც, რომ მანამდე, იმავე მოსახვევთან მეორე წრეზე, ბარიერს შეეჯახა იფან კაპელიც და მისი „მარჩ-ჯადი“ ისე დაზიანდა, რომ იტალიელმა პილოტმა ასპარეზობა ვეღარ განაგრძო.

რბოლა 45 წუთში განახლდა. დაწინაურდა ალენ პროსტი, მაგრამ სულ რაღაც ერთ წუთში სენამ კვლავ დაიბრუნა პირველობა და დარჩენილ 58 წრეზე აღარავინ გაუშვა წინ. ბრაზილიელმა პილოტმა მეთხუთმეტე „გრან პრი“ მოიპოვა. ნაიჯელ მენსელი კი ასპარეზობას 24-ე წრეზე გამოეთიშა „ფერარის“ „უნიკალური“ ავტომატური სიჩქარის კოლოფის მწყობრიდან გამოსვლის გამო. იგივე მიზეზით 52-ე წრეზე რბოლას გამოეთიშა რიკარდო პატრეზეც.

ტრასის რეკორდი დაამყარა ალენ პროსტმა, რომელმაც 45-ე წრე 1 წუთსა და 26,795 წამში გაიარა (საშუალო სიჩქარე — 209,044 კმ სთ).

მონაკოში რბოლა „დიდ პრიზზე“ 1942 წლიდან ტარდება. აქ იმარჯვეს ლეგენდარულმა ხუან მანუელ ფანხიომ და სტირლინგ მოსმა, ტაციო ნუვოლარიმ და ჯიმ კლარკმა, ჯეკ ბრებემმა და ბრიუს მაკლარენმა, ჯეკი სტიუარტმა და ნიკი ლაუდამ, იოჰენ რინდტმა და რონი პეტერსონმა, პატრიკ დეპაიემ და კარლოს რეუტემანმა, ჟილ ვილნევმა, რიკარდო პატრეზემ და კიდევ ბევრმა სახელოვანმა ავტომრბოლმა. მათ შორის აღსანიშნავია გრემ ჰილი და ალენ პროსტი. პირველმა ხუთი „გრან პრი“ მოიპოვა მონაკოში (1963-1965, 1968, 1969 წლებში), მეორემ —ოთხი (1984-1986 და 1988 წლებში).

საკვალიფიკაციო რბოლა ოცდამეთორმეტედ მოიგო აირტონ სენამ და ამით მიუახლოვდა სახელგანთქმული ჯიმ კლარკის რეკორდს — 33.

როგორც იცით, მონაკოს ქუჩები საკმაოდ ვიწროა და აქ დიდი მნიშვნელობა აქვს ტაქტიკურ ბრძოლას. პირველ ადგილზე მყოფ პილოტს ყოველთვის დიდი უპირატესობა აქვს. სწრაფი სტარტის შემდეგ დაწინაურდა აირტონ სენა. მას ალენ პროსტი მიჰყვა. მესამე პოზიცია ეკავა ნაიჯელ მენსელს, მაგრამ, კვლავ გადაცემათა კოლოფის უწესრიგობის გამო მალე მიატოვა ტრასა. ამასობაში სენამ სისწრაფეს უმატა და საგრძნობლად გაუსწრო თავის თანაგუნდელ ალენ პროსტს. ფრანგ პილოტს ბევრი დაბრკოლების გადალახვა მოუხდა, რათა ფინიშთან მეორე მისულიყო. იგი ჯერ ოენ არნუმ შეაფერხა. მის გასწრებას პროსტმა 10 წამი მოანდომა, შემდეგ 20 წამს იცდიდა, სანამ ასპარეზობის კომისრები ნელსონ პიკესა და ანდრეა დე ჩეზარისის ავტომობილებისგან გაათავისუფლებდნენ გზას. გარდა იმისა, რომ ალენ პროსტი ფინიშთან მეორე იყო, მან ტრასის რეკორდიც დაამყარა. ერთი წრე გაიარა 1 წუთსა და 25,501 წამში, პროსტმა განავითარა საშუალო სიჩქარე — 140,125 კმ სთ. ეს ფრანგი პილოტის 29-ე საუკეთესო შედეგია. ამით მოიხსნა ჯიმ კლარკის რეკორდი — 28.

აირტონ სენამ მეთექვსმეტე „გრან პრი“ მოიპოვა. ახლა იგი რეიტინგით მერვე ადგილზეა სტირლინგ მოსის შემდეგ, მენსელი კი — მეთორმეტეზე გრემ ჰილის შემდეგ.

ამრიგად, სამი ეტაპის ჯამში 18-18 ქულით ლიდერობენ აირტონ სენა და ალენ პროსტი. მათ 9 ქულით ჩამორჩება ნაიჯელ მენსელი. 5-5 ქულა აქვთ ნანინის და უორვიკს, 4-4 — გუგელმინს და მოდენას, 3-3 — ჰერბერტს და კაფის, 2-2 — პალმერს და ალბორეტოს, თითო ქულა — ტარკვინის და ბრანდლს.

კონსტრუქტორთა პირველობაზე ასეთი მდგომარეობაა: 1. „მაკლარენი“ — 36; 2. „ფერარი“ — 9; 3. „ბენეტონი“— 8; 4-5. „ეროუზი“, „ბრებემი“ — 5-5 ქულა; 6-7 „მარჩი“, „ტაირელი“ — 4-4 ქულა; 8. „დალარა“ — 3; 9. „ა-ქე-ესი“ — 1 ქულა.

დავით ჩუბინიძე.

ჰიმალაის რვაათასიანებზე

ფრანგმა მთამსვლელებმა ბენუა შიმომ და როიარ პიერომ ცენტრალურ ნეპალში დაიპყრეს ჰიმალაის ერთ-ერთი თოთხმეტთაგანი რვაათასიანი მწვერვალი მანასლუ (8.163 მ).

გადამწყვეტი შტურმი, რომელიც წყვილმა 7200 მეტრის სიმაღლეზე განლაგებულ ბანაკიდან მიიტანა მწვერვალზე, ოთხ საათს გაგრძელდა.

• • •

ბელგიის ექსპედიციამ, რომლის შემადგენლობაში 12 ალპინისტია, შეწყვიტა მაკალუს (8463) პიკის დაპყრობა, ხოლო ოთხმა ავსტრიელმა კი — ანაპარნასი (8091).

ბელგიელმა სპორტსმენებმა ჯოსეფ დევინის ხელმძღვანელობით 7.600 მეტრ სიმაღლეს მიაღწიეს და ცუდი ამინდის გამო იძულებულნი გახდნენ შეეწყვიტათ იერიში. ავსტრიელებს კი 5900 მეტრზე გზა გადაუღობა ყინულის ზვავმა.

• • •

სამი იუგოსლავიელი მთამსვლელი — 38 წლის სპლიტელი ელექტრიკოსი სტიპ ბოჟიჩი, 36 წლის ლიუბლიანელი ფიზკულტურის მასწავლებელი ვიქტორ გროსელი და 35 წლის ბიტოლელი ავტომექანიკოსი დიმიტარ ილევსკი, აგრეთვე ორი ნეპალელი შერპი ავიდნენ მსოფლიოს ბანზე — ევერესტზე (8848). ამასთან ბოჟიჩი მეორედ ესტუმრა მას, პირველად ათი წლის წინათ დალაშქრა მწვერვალი..

მაგრამ ჰიმალაის გიგანტის წარმატებით დალაშქვრის სიხარული დიდხანს არ გაგრძელებულა, რადგან მწვერვალიდან ჩამოსვლის დროს, 8000 მეტრზე უგზოუკვლოდ დაიკარგა შტურმის მონაწილე ილევსკი. სამაშველო სამუშაოებს ჯერჯერობით არავითარი შედეგი არ მოჰყოლია.

რედაქტორი
თ. გაჩეჩილაძე.

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14,
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“,

რედაქციის ტელეფონები:
წერილების განყოფილება — 93-97-55,
სამდივნო — 93-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53,
„ეერანი“ — 93-97-26, „მაროვე“ — 93-97-27.

ჩვენი ინდექსი 60435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. ბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 10 359